შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №2, 5 თებერვალი 2015 წელი
რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: / გულქან ქმოსტელი/

შეთანხმულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
სამსახურის უფროსი: /მარიამ დარბაიძე/

# მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რუსთავი–2015 წ

.

| | |
|---|---|
| *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება* | *მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა* |
| *მიმართულება* | ბიზნესის ადმინისტრირება 02 |
| *პროფესიული განათლების საფეხური* | III |
| *მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია* | ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე. |
| *სწავლების ენა* | ქართული |
| *პროგრამის შემუშავების თარიღი* | 2015 წელი |
| *პროგრამის ხელმძღვანელი* | ციური დურული-ეკონომიკის დოქტორი |

*პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :*

მესამე დონის ბუღალტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

*ECTS, პროფესიული პროგრამის მოცულობა:*

- მესამე დონის ბუღალტერის პროფესიული პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად და მოიცავს:

  35 კრედიტს – 875 საათს, აქედან:

  21 კრედიტი – 525 საათი ეთმობა სასწავლო კომპონენტს;

  14 კრედიტი – 350 საათი ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს;

- პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია ბუღალტრის (0201151)

.

დარგობრივ პროფესიულ სტანდარტთან:

- პროგრამის 60 % – ეთმობა სასწავლო კომპონენტს;
- პროგრამის 40 % – ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას;

- პროგრამის ხანგრძლივობა – 25 კვირა.

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:*

მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საბუღალტრო საქმიანობის სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების მქონე ბუღალტერ–მოანგარიშე, რომელსაც შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება.

*სწავლის შედეგები და ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:*

| *კომპეტენციები* | *ზოგადი* | *დარგობრივი* |
|---|---|---|
| ***ცოდნა და გაცნობიერება*** | აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირი-თადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. | **აქვს** სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების, ასევე ბიზნესის სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლების *ცოდნა.* |

.

| | | |
|---|---|---|
| ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი*** | შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებ-ლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტ-რუმენტები და მასალები. | **შეუძლია:**<br>• დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება;<br>• პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა;<br>• პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრებსითი უწყისების შედგენა;<br>• ბუღალტრული გატარება მინიშნებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;<br>• ტიპიური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;<br>• დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანა, ოპერაციების კორექტირება.<br>• საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება |
| ***დასკვნის უნარი*** | შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრე-ლად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. | **შეუძლია:**<br>ცალკეულ საბუღალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება;<br>ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშგების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით. |
| ***კომუნიკაციის უნარი*** | შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირე-ბულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პრო-ფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნი-კაციო ტექნოლოგიებს; | **შეუძლია:**<br>• მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება.<br>• მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა; ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/და პასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე.<br>**აქვს :**<br>უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი. |

.

| | | |
|---|---|---|
| | შეუძლია უცხო ენის პრაქ-ტიკული გამოყენება. | |
| ***სწავლის უნარი*** | შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავ-ლაზე პასუხისმგებლობის აღება. | **შეუძლია**:<br>საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. |
| ***ღირებულებები*** | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბა-მისად. | **იცნობს** : ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს.<br>**არის:** პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთლისინდისიერი. |

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მეთოდები:***

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც წინამდებარე პროფესიული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები (ვერბალური - თემის ახსნა. გამოკითხვა, მსჯელობა და დებატები, მოხსენების წარდგენა; წერითი - ლექციებიზე ჩანაწერები, პრაქტიკული მეცადინეებებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება  და სხვ.), ასევე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი; პრაქტიკული მეცადინეობზე - ვერბალური: აქტივობა, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და მსჯელობა, წერილობითი: დავალების მომზადება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება: კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება; სამუშაო ჯგუფში მუშაობისას - წერილობით მომზადებული. კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული და ვერბალურად წარდგენილი მოხსენებები და ა.შ.). მეთოდების კომბინირება უზრუნ-ველყოფს სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

.

| *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ფორმატი:* |
| --- |
| მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს შემდეგ ფორმატს: თეორიული სასწავლო კურსების შესწავლა და პრაქტიკა, რომელიც მოიცვს სასწავლო პრაქტიკას/სამუშაო ადგილის სიმულირებას, საწარმოო პრაქტიკას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად და მოიცავს:<br>სასწავლო კურსების შესწავლით (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა) პროფესიულ სტუდენტს უყალიბდება პროფესიისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა. პროფესიულ სტუდენტთა თეორიული ცოდნა შემოწმდება სამუშაო ჯგუფში მუშაობისას მიღებული შეფასებებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მეშვეობით. პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო კურსის წამყვან ლექტორს/მასწავლებელს შორის ინდივიდუალური მუშაობის გაზრდით მიზნით სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორები/მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარებენ კონსულტაციებს.<br><br>პროფესიული პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია პრაქტიკა, რომელშიც მოიაზრება:<br>სასწავლო პრაქტიკა, რომლის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დაეხმაროს სასწავლო კურსების შესწავლით მიღებული თეორიული ცოდნის გამყარებაში და ასწავლოს მისი დამოუკიდებლად, პრაქტიკული გამოყენება რეალურ გარემოსთან დაახლოებულ პირობებში სამუშაო ადგილის სიმულაციის გზით. სასწავლო პრაქტიკა ჩატარდება გამოცდილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მეთვალყურეობით.<br>საწარმოო პრაქტიკას პროფესიული სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა საწარმოებში/ორგანიზაციებში, რადგან საწარმოო პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტს რეალურ გარემოში გააცნოს მისი მომავალი სამუშაო ადგილი, შესასრულებელი ფუნქციები და დაეხმაროს ამ ფუნქციების შესრულების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის შედეგად. სასწავლო პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების წინაპირობაა სასწავლო პრაქტიკის წარმატებით გავლა და დადებითი შეფასების მიღება.<br>პროფესიული კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიულ სტუდენტს სწავლის ბოლო ეტაპზე - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ყველა კომპონენტის–სასწავლო კურსის, მათ შორის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ათვისების შემდეგ. |
| *პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:* |
| **შეფასების მიზანია განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების დონე პროფესიული პროგრამის მიზნებთან და მოთხოვნებთან მიმართებაში:**<br>➢ შეფასების სისტემა უშვებს: |

.

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
- დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
  ა) შუალედურ შეფასებას;
  ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
- შეფასების კრიტერუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება:***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა შეისწავლა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, გაიარა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, მიიღო მხოლოდ დადებითი შეფასებები, **წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება** ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე და გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

.

| ***დასაქმების სფერო*** |
|---|
| კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად: აღმრიცხველი; მოანგარიშე; ბუღალტრის ასისტენტი; საწყობის გამგე და სხვ. |
| ***სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა*** |
| ბუღალტრის მესამე საფეხურის/ბუღალტერ-მოანგარიშის **კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია სწავლა გააგრძელოს** მეოთხე დონის ბუღალტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. |

## სწავლის შედეგების რუქა

| სასწავლო კურსები | სწავლის შედეგები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| 1 საოფისე კომპიუტერული პროგრამები | X | X | | X | | |
| 2. ინგლისური ენა | X | X | | X | | |
| 3. პროფესიული ეთიკა | X | | X | | | X |
| 4. ეკონომიკის საფუძვლები | X | | | | | |
| 5. ბიზნესის სამართლის საფუძვლები | X | | | | | X |
| 6. ბუღალტრული აღრიცხვა | X | X | X | X | X | X |

.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7. საგადასახადო საქმე | X | X | | | | |
| 7. სასწავლო პრაქტიკა | | X | X | X | X | X |
| 8. საწარმოო პრაქტიკა | | X | X | X | X | X |

## სასწავლო გეგმა

.

| სასწავლო კურსები | კრედიტების რაოდენობა | საათების განაწილება | | | | | | სულ საათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საკონტაქტო საათები | | | | | დამოუკიდებელი საათები | |
| | | ლექცია/ პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | შუალედური | დასკვნითი შეფასება | | |
| 1 საოფისე კომპიუტერული პროგრამები | 3 | 15 | 35 | – | 2 | 1 | 22 | 75 |
| 2. ინგლისური ენა | 3 | 50 | – | – | 2 | 1 | 22 | 75 |
| 3. პროფესიული ეთიკა | 1 | 15 | – | – | 2 | 1 | 7 | 25 |
| 4. ეკონომიკის საფუძვლები | 2 | 30 | – | – | 2 | 1 | 17 | 50 |
| 5. ბიზნესის სამართლის საფუძვლები | 3 | 45 | – | – | 2 | 1 | 27 | 75 |
| 6. ბუღალტრული აღრიცხვა | 7 | 120 | — | – | 2 | 1 | 72 | 175 |
| 7. საგადასახადო საქმე | 2 | 30 | | | 2 | 1 | 17 | 50 |
| 8. სასწავლო პრაქტიკა | 7 | – | – | 170 | 2 | 3 | – | 175 |
| 9. საწარმოო პრაქტიკა | 7 | – | – | 170 | — | 5 | – | 175 |
| სულ: | 35 | 305 | 35 | 340 | 18 | 11 | 164 | 875 |

*მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი*

.

| № | პროგრამის კომპონენტი (სასწავლო კურსი/სასწავლო პრაქტიკა | | გვარი სახელი |
|---|---|---|---|
| 1 | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | | **თინათინ მაღრაძე** |
| 2 | ინგლისური ენა | | **რუსუდან გოგოხია** |
| 3 | პროფესიული ეთიკა | | **იზოლდა ბუხულეიშვილი** |
| 4 | ეკონომიკის საფუძვლები | | **მაია ჯინჭარაძე** |
| 5 | ბიზნესის სამართლის საფუძვლები | | **ანა რამიშვილი** |
| 6 | ბუღალტრული აღრიცხვა | | **მაია ჯინჭარაძე** |
| 7 | საგადასახადო საქმე | | **მაია ჯინჭარაძე** |
| 8 | სასწავლო პრაქტიკა | | **მაია ჯინჭარაძე** |
| 9 | **საწარმოო პრაქტიკა** | | **ინგა მიროტაძე; შპს ,,ვეჯინი“** |

**მესამე დონის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოოს პრაქტიკის განხორციელების საფუძველი**

| № | საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება/ორგანიზაცია | მისამართი, მემორანდუმი№1 , მოქმედების ვადა |
|---|---|---|
| 1. | ქ.რუსთავის მერიის საფინანსო სამსახური | ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №16 27.04.2012 წ.-უვადო |
| 2. | შპს ”ვეჯინი” | ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №15 15 მაისი 2012 წ.-უვადო |